

ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!

ლოგიკური მსჯელობა

I ვარიანტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

ამოცანა 1.

მოცემულია მტკიცებულება:

- ბევრი შრომა აუცილებელია წარმატების მიღწევისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი ეწინააღმდეგება მოცემულ მტკიცებულებას?

- (ა) შოთა ბევრს არ შრომობს და ვერ აღწევს წარმატებას.
- (ბ) შოთამ წარმატებას მიაღწია ბევრი შრომით.
- (გ) შოთამ წარმატებას ბევრი შრომის გარეშე მიაღწია.
- (დ) შოთა ბევრს შრომობს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.
- (ე) შოთას წარმატებაში მთავარი ბევრი შრომა არ იყო.

ამოცანა 2.

სამ ყუთში სხვადასხვა სახის ხილი ჩააწყვეს. ცნობილია, რომ:

- თუ პირველ ყუთში ერთი ვაშლი ან ერთი მსხალი მაინც დევს, მაშინ მეორე ყუთში ატმები, ხოლო მესამეში – მანდარინებია.
- თუ მესამე ყუთში მანდარინები დევს, მაშინ ამავე ყუთში უნდა იდოს ფორთოხლებიც.

გაირკვა, რომ:

- მესამე ყუთში ფორთოხლები არ დევს.

აქედან გამომდინარე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ:

- (ა) პირველ ყუთში არ დევს არც მსხლები და არც ვაშლები.
- (ბ) მანდარინები არ დევს არცერთ ყუთში.
- (გ) მეორე ყუთში არ დევს ატმები.
- (დ) არცერთ ყუთში არ დევს ვაშლი, მსხალი, ატამი, მანდარინი და ფორთოხალი - ყველა ერთად.
- (ე) ვაშლები და მსხლები მხოლოდ მეორე ყუთში აწყვია.

ამოცანა 3.

ჯგუფში ხუთი ბავშვია: ანა, ბაია, გია, დათო და ელისო.

ამ ჯგუფის შესახებ ცნობილია, რომ:

- არცერთი წყვილი ბავშვებისა არ არის ერთი და იმავე სიმაღლის.
- ბაია ანაზე დაბალი, მაგრამ გიაზე მაღალია.
- ელისო მხოლოდ ორ ბავშვზე მაღალი, თუმცა დათოზე დაბალია.

ამ ჯგუფის შესახებ რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ანა ყველაზე მაღალია.
- (ბ) ბაია მხოლოდ ერთ ბავშვზე მაღალია.
- (გ) გია ვერ იქნება ყველაზე დაბალი.
- (დ) დათო ყველაზე მაღალია.
- (ე) ელისო მხოლოდ ერთ ბავშვზე დაბალია.

ამოცანა 4.

კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყნის მასშტაბით საავადმყოფოები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან: ზოგიერთში სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენებში. რადგან გამოკვლეული საავადმყოფოების დაფინანსება (ერთი პაციენტზე გაანგარიშებით) დაახლოებით თანაბარი იყო, დაასკვნეს, რომ უფრო მაღალი სიკვდილიანობის მიზეზი პერსონალის მიერ უფრო დაბალი ხარისხის მომსახურების გაწევა იყო.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეასუსტებს ყველაზე მეტად პირობაში მოყვანილი დასკვნის მართებულობას?

- (ა) პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰოსპიტალიზაციისას მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საავადმყოფოების მიხედვით.
- (ბ) ზოგიერთი საავადმყოფოს პერსონალს გაცილებით უკეთესი განათლება ჰქონდა მიღებული, ვიდრე სხვებს.
- (გ) საავადმყოფოებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაახლოებით თანაბარია ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში.
- (დ) პერსონალის გამოცდილება და სტაჟი საკმაოდ განსხვავდებოდა საავადმყოფოების მიხედვით.
- (ე) სამედიცინო აპარატურა ყველა საავადმყოფოში თითქმის იდენტური იყო.

ამოცანა 5.

მოცემულია მსჯელობა, რომელშიც გამოტოვებულია ფრაგმენტი:

*რადგან ყველა ლიკოპოდიუმი ტრაქეოფიტი და არცერთი ბრიოფიტი არ არის ტრაქეოფიტი და, ამავდროულად, ,
ამიტომ არცერთი ლიკოპოდიუმი არ არის ხავსი.*

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაგმენტი უნდა ჩაისვას გამოტოვებულ ადგილას, რომ მიღებული მსჯელობა მართებული იყოს?

- (ა) ყველა ხავსი ტრაქეოფიტი
- (ბ) არცერთი ხავსი არ არის ბრიოფიტი
- (გ) ყველა ტრაქეოფიტი ლიკოპოდიუმია
- (დ) არცერთი ბრიოფიტი არ არის ლიკოპოდიუმი
- (ე) ყველა ხავსი ბრიოფიტი

ამოცანა 6.

მოცემულია:

- არცერთი ციკლოპი არ დაფრინავს.
- არცერთი ციკლოპი არ არის მოკვდავი.
- ყველა გრიფინი დაფრინავს.
- ყველა, ვინც ციკლოპი არ არის, მოკვდავია.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი გრიფინი არ დაფრინავს.
- (ბ) ყველა მოკვდავი გრიფინია.
- (გ) ყველა მოკვდავი დაფრინავს.
- (დ) ყველა გრიფინი მოკვდავია.
- (ე) ყველა, ვინც გრიფინი არ არის, ციკლოპია.

ამოცანა 7.

სასწავლებელმა კურსანტთა ოთხი ნაკადი გამოუშვა. მათ შესახებ ცნობილია, რომ:

- პირველი ნაკადის თითოეულმა კურსანტმა მეორე ნაკადის ყველა კურსანტზე უფრო მაღალი შეფასება მიიღო.
- მესამე ნაკადის უმრავლესობამ, თუმცა არა ყველამ, მიიღო უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე მეორე ნაკადის უმაღლესი შეფასების მქონე კურსანტმა.
- მეოთხე ნაკადის არცერთ კურსანტს არ მიუღია იმაზე უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე მიიღო მეორე ნაკადის უდაბლესი შეფასების მქონე კურსანტმა.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ მოცემულობიდან?

- (ა) პირველი ნაკადის რომელიღაც კურსანტმა მესამე ნაკადის რომელიღაც კურსანტზე უფრო დაბალი შეფასება მიიღო.
- (ბ) მესამე ნაკადის რომელიღაც კურსანტმა პირველი ნაკადის უდაბლესი შეფასების მქონე კურსანტზე უფრო დაბალი შეფასება მიიღო.
- (გ) მესამე ნაკადის რომელიღაც კურსანტმა მეოთხე ნაკადის რომელიღაც კურსანტზე უფრო დაბალი შეფასება მიიღო.
- (დ) მეოთხე ნაკადის რომელიღაც კურსანტმა პირველი ნაკადის უდაბლესი შეფასების მქონე კურსანტზე უფრო მაღალი შეფასება მიიღო.
- (ე) მეოთხე ნაკადის რომელიღაც კურსანტმა მესამე ნაკადის რომელიღაც კურსანტზე უფრო მაღალი შეფასება მიიღო.

ამოცანა 8.

ხუთი ინდიელიდან – A, B, C, D და E – ოთხია აპაჩი (აპაჩის ტომიდან), ერთი კი – იროკეზი (იროკეზების ტომიდან). არცერთი აპაჩი არ არის იროკეზი. მათ შემდეგი რამ განაცხადეს:

A: B და C ერთი და იმავე ტომიდან არიან.

B: არც მე ვარ იროკეზი და არც C.

C: A არ არის იროკეზი.

D: A-ც და E-ც აპაჩები არიან.

E: D იროკეზია.

ცნობილია, რომ ამ განაცხადებიდან 3 ჭეშმარიტია, ხოლო 2 – მცდარი. რომელია მათ შორის იროკეზი?

(ა) A

(ბ) B

(გ) C

(დ) D

(ე) E

ამოცანა 9.

გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, დინოზავრები უეცრად გადაშენდნენ დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ, ცარცულ-პალეოგენური პერიოდების საზღვარზე (ცარცულის ბოლოს და პალეოგენურის დასაწყისში), დედამიწაზე ასტეროიდის შეჯახების შედეგად. თვეების განმავლობაში ცა დაიფარა მტვრის სქელი ფენით, რომელმაც მზის სხივები დაახშო და დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. როცა ეს მტვრის ღრუბელი გაიფანტა, შეჯახებისას წარმოქმნილი სათბურის გაზების გამო დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურა შეჯახებამდელზე ბევრად მეტი გახდა.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა **ამყარებს** მოცემული ჰიპოთეზის მართებულობას?

- I. მექსიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 150 კილომეტრიანი კრატერი, რომელიც, სავარაუდოდ, 65 მილიონი წლის წინათ დედამიწასთან ასტეროიდის შეჯახებითაა გაჩენილი.
- II. ცარცულ-პალეოგენური პერიოდების საზღვრის ნიადაგის ფენებში მეტალ ირიდიუმის დონე საშუალოზე 30-ჯერ უფრო მაღალია. ირიდიუმი გავრცელებული მეტალია ასტეროიდებში, თუმცა იშვიათია დედამიწის ზედაპირზე.
- III. განამარხებული ნაშთების შესწავლა აჩვენებს, რომ ცარცული პერიოდის განმავლობაში დინოზავრების პოპულაცია არ მცირდებოდა.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) სამივე

ამოცანები 10-11 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

მეგობრები: ანა, ბელა, გოგი, დოდო, ეკა, ვანო და ზაქრო რამდენიმე ამოცანისაგან შედგენილ ტესტს ხსნიდნენ. ცნობილია, რომ:

- ყველა ამოცანა, რომელიც ამოხსნა ანამ, ამოხსნა ბელამაც, ხოლო ყველა ამოცანა, რომელიც ამოხსნა ბელამ, ამოხსნა გოგიმაც.
- ყველა ამოცანა, რომელიც ამოხსნა დოდომ, ამოხსნა ეკამაც, ხოლო ყველა ამოცანა, რომელიც ამოხსნა ეკამ, ამოხსნა ვანომაც.
- ყველა ამოცანა, რომელიც არ ამოუხსნია ზაქროს, ამოხსნა ბელამაც და ეკამაც.

ამოცანა 10.

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ რომელიღაც ერთი ამოცანა ბელამაც ამოხსნა და ეკამაც?

- (ა) მეექვსე ამოცანა ამოხსნა ანამაც და ეკამაც.
- (ბ) მეშვიდე ამოცანა ამოხსნა ბელამაც და დოდომაც.
- (გ) მერვე ამოცანა ამოხსნა დოდომაც და ანამაც.
- (დ) მეცხრე ამოცანა ამოხსნა ვანომაც და ანამაც.
- (ე) ზაქროს რომელიღაც ამოცანა არ ამოუხსნია.

ამოცანა 11.

თუ არცერთი ამოცანა არ არის ისეთი, რომელიც ბელამაც ამოხსნა და ეკამაც, მაშინ რომელი შეიძლება არ შესრულდეს?

- (ა) არცერთი ამოცანა არ არის ისეთი, რომელიც ანამაც ამოხსნა და ეკამაც.
- (ბ) არცერთი ამოცანა არ არის ისეთი, რომელიც ბელამაც ამოხსნა და დოდომაც.
- (გ) არცერთი ამოცანა არ არის ისეთი, რომელიც გოგიმაც ამოხსნა და დოდომაც.
- (დ) არცერთი ამოცანა არ არის ისეთი, რომელიც დოდომაც ამოხსნა და ანამაც.
- (ე) ზაქრომ ყველა ამოცანა ამოხსნა.

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

ნაკრებისათვის შვიდი კანდიდატიდან უნდა შეირჩეს რამდენიმე. კანდიდატებს შორის ოთხი ვაჟია: ლევანი, მათე, ნუკრი და ომარი, ხოლო სამი ქალი: სალომე, ფატი და ციური.

შერჩევისას გასათვალისწინებელი პირობებია:

- თუ არ შეირჩევა ლევანი, მაშინ უნდა შეირჩეს მათე.
- თუ მათე შეირჩევა, არ უნდა შეირჩეს ლევანი.
- თუ არ შეირჩევა სალომე, არ უნდა შეირჩეს არც ლევანი.
- თუ ერთი მაინც ვაჟი შეირჩევა, მაშინ უნდა შეირჩეს ფატიც.
- თუ ომარი შეირჩევა, მაშინ არცერთი ქალი არ უნდა შეირჩეს.
- მათე და ციური ან ორივე უნდა შეირჩეს, ან არცერთი.

ამოცანა 12.

თუ შეირჩევა ორი ვაჟი მაინც, მაშინ აუცილებლად შეირჩევა

- (ა) ლევანი
- (ბ) მათე
- (გ) ნუკრი
- (დ) ომარი
- (ე) სალომე

ამოცანა 13.

რა მინიმალური რაოდენობის კანდიდატების შერჩევაა შესაძლებელი ნაკრებისათვის?

- (ა) ორი
- (ბ) სამი
- (გ) ოთხი
- (დ) ხუთი
- (ე) ექვსი

ამოცანა 14.

ჩამოთვლილთაგან რომელია შესაძლებელი?

- (ა) სამივე ქალი შეირჩევა ნაკრებისთვის.
- (ბ) სამი ვაჟი შეირჩევა ნაკრებისთვის.
- (გ) ქალებიდან მხოლოდ ერთი შეირჩევა ნაკრებისთვის.
- (დ) ნაკრებისთვის უფრო მეტი ვაჟი შეირჩევა, ვიდრე ქალი.
- (ე) ნაკრებისთვის შეირჩევა ექვსი კანდიდატი.

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

საქველმოქმედო აქციაზე სულ 8 ნივთი იყო გამოტანილი გასაყიდად, რომელთაგან 2 იყო 1000 ლარიანი, 2 – 2000 ლარიანი, 2 – 3000 ლარიანი და 2 – 4000 ლარიანი. სულ გაიყიდა 6 ნივთი, ყველა თავის ფასად. მყიდველი იყო ექვსი პიროვნება – არევაძე, ბალავაძე, გრიგოლია, დარჩია, ესართია და ვაჩნაძე – რომელთაგან თითოეულმა თითო ნივთი იყიდა. ამასთან ცნობილია, რომ:

- არევაძემ 1000 ლარით უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე ბალავაძემ.
- ან არევაძემ, ან დარჩიამ იმავე ღირებულების ნივთი იყიდა, რაც გრიგოლიამ.
- მხოლოდ ერთმა პიროვნებამ იყიდა უფრო ძვირადღირებული ნივთი, ვიდრე ესართიამ.
- ვაჩნაძეს არ უყიდია 1000 ლარიანი ნივთი.

ამოცანა 15.

ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი?

- (ა) არევაძემ 3000 ლარიანი ნივთი იყიდა.
- (ბ) ბალავაძემ 3000 ლარიანი ნივთი იყიდა.
- (გ) გრიგოლიამ 1000 ლარიანი ნივთი იყიდა.
- (დ) დარჩიამ 2000 ლარიანი ნივთი იყიდა.
- (ე) ვაჩნაძემ 3000 ლარიანი ნივთი იყიდა.

ამოცანა 16.

თუ ორივე 1000 ლარიანი ნივთი გაიყიდა, მაშინ ერთი და იმავე ღირებულების ნივთები შეუძლებელია ეყიდათ

- (ა) არევაძესა და ესართიას.
- (ბ) ბალავაძესა და დარჩიას.
- (გ) ბალავაძესა და ესართიას.
- (დ) გრიგოლიასა და დარჩიას.
- (ე) ესართიასა და ვაჩნაძეს.

ამოცანა 17.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) არევაძემ უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე დარჩიამ.
- (ბ) ესართიამ უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე ბალავაძემ.
- (გ) ესართიამ უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე დარჩიამ.
- (დ) ვაჩნაძემ უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე ბალავაძემ.
- (ე) ვაჩნაძემ უფრო ძვირადღირებული ნივთი იყიდა, ვიდრე გრიგოლიამ.